პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 21 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

14 (1009) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

# ლენინის საქმე ვითარდება, იმარჯვებს და გაიმარჯვებს. წინ მედგრათ ლენინიზმის გზით კომუნიზმისაკენ.

## ლენინის საქმე იმარჯვებს.

შესრულდა ორი წელი, რაც გარდაიცვალა ჩვენი პარტიის და ყველა მშრომელთა, ყველა დაჩაგრულთა საყვარელი ბელადი ამხ. ლენინი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გამოიცვალა, ბევრი ცვლილებები მოხდა საბჭოთა ქვეყანაში. ცვლილებები, რომლებმაც იმედები ჩაუმწარეს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მტრებს. გავიხსენოთ ის დრო, როცა მოკვდა ლენინი, როცა ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები იმედით აღივსენ ლენინის საქმის დაღუპვის მოლოდინში. მაგრამ ორგულნი სასტიკად მოსტყუვდენ. ლენინის საქმე მტკიცედ მიიწევს წინ, ის იმარჯვებს. ამას ამტკიცებს საბჭოთა ქვეყნის მუშებისა და გლეხების მიღწევები სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში, რომელთაც მათ მიაღწიეს ამ ორი წლის განმავლობაში.

ლენინის პარტიამ საუცხოვოდ ჩაიბარა გამოცდები თავისი დაუვიწყარი ბელადის მაგიერობაზე.

ერთგული ლენინის ანდერძებისა სრულიად საკავშირო კომპარტიას შეუპოვრად, ნაცადი ხელით მიყავს წინ სოციალიზმისაკენ საბჭოთა გემი. დღითი დღე მტკიცდება და ძლიერდება მუშების და გლეხების კავშირი, მაგრდება და ფოლადდება მუშურ-გლეხური ხელისუფლება, პროლეტარიატის დიქტატურა.

ლენინის საქმე—სოციალიზმის საქმე იკაფავს გზას და იმარჯვებს არა მარტო იქ, სადაც შრომა მეფობს, სადაც მუშები და გლეხები ბატონობენ, არამედ იქაც, სადაც კაპიტალის სისხლიანი დიქტატურა მძვინვარებს, სადაც მრავალი მილიონი მშრომელნი და დაჩაგრულნი სულს ღაფავენ ბურჟუაზიის მძიმე მონობის ქვეშ.

ნელა, მაგრამ მტკიცედ, შეურყევლად იზრდება მსოფლიო რევოლიუციის ძალები და ლენინის იდეები თანდათან იპყრობენ, რაზმავენ მუშების და გლეხების ახალ ათასებსა და ათი ათასებს.

კომუნისტური ინტერნაციონალი—აი ის ღირსეული მემკვიდრე, რომელიც ლენინის შემდეგ ლენინიზმის გზით მტკიცედ ხელმძღვანელობს მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის საქმეს.

ფხიზლად და შეურყევლად სდგას ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე ძლევამოსილი წითელი არმიაც. ერთგული ლენინის ანდერძისა ის აფოლადებს თავის რიგებს, ამაღლებს თავის საბრძოლო უნარს მუდამ ჟამს მზად არის ღირსეული პასუხი გასცეს მტერს ყოველგვარ თავხედობისათვის. და აი დღეს ბელადის გარდაცვალების ორი წლის თავზე ჩვენ მუხლს ვიდრეკთ რა მისი ცხედრის წინაშე, თამამად შეგვიძლია უთხრათ მას: „იძინე ტკბილათ ძვირფასო, ლენინ, შენი საქმე უკვდავია, ის იმარჯვებს.

ვფიცავთ! შეურყევლად წავიდეთ წინ შენ მიერ ნაჩვენებ გზით და პირნათლად შევასრულოთ ყველა შენი ანდერძები!“

## ლენინი და წითელი არმია.

დღიდან ოქტომბრის ბრძოლების დაწყებისა, ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რევოლიუციის შეიარაღებულ ძალების შექმნის საკითხს. ოქტომბრის დღეებში ლენინმა, ერთმა პირველთაგანმა, როგორც რევოლიუციის ძალების ნამდვილ მთავარსარდალმა, გაითვალისწინა ლენინგრადში ძალა-უფლების დაპყრობის სამხედრო მხარე და მისცა სწორი დირექტივა ამ მხრივ პარტიის ცეკას სხდომაზე; ამას მოწმობენ ყველა ისინი, ვინც მაშინ მუშაობდა ლენინთან ერთად.

სამოქალაქო ომის მთელი შემდეგი მსვლელობა, წითელი არმიის შექმნა და მისი რეორგანიზაცია გატარდა ლენინის უახლოესი მონაწილეობით.

ლენინის კაბინეტი კრემლში, ჩვენთვის მეტად მძიმე მომენტების დროს ფრონტზე, მოგვაგონებდა ოპერატიულ შტაბს; კედლებზე, მაგიდებზე მოფენილი იყო რუქები და მათზე აღნიშნული წითელი არმიის და მთელი ფრონტის მდგომარეობა. ის ფხიზლად უთვალთვალებდა ყველა ოპერაციებს, რომლებიც სწარმოებდა ფრონტზე და საჭირო მომენტში მუდამ მიუთითებდა მის გარშემო მომუშავეებს იქეთ, სადაც საჭირო იყო ფრონტისათვის დახმარების დაჩქარება, როგორც მაგ. დამხმარე ძალების, მომარაგების გაგზავნა, ფრონტის საჭირო უბნების კომუნისტებით გაძლიერება და სხვა.

ომი გრძელდებოდა, მცირე რიცხოვან არმიას ღონე ეცლებოდა ყოველ მხრიდან შეტევაზე გადმოსულ მტერთან ბრძოლაში, ქვეყანა დაიქანცა იმპერიალისტურ ომისაგან; ასეთ პირობებში წითელი არმიის რაოდენობის გადიდება თითქოს შეუძლებელი ხდებოდა.

მაგრამ ისმის ლენინის მოწოდება, რომ კონტრრევოლიუციასთან საბრძოლველად ჩვენ გვჭირია სამ მილიონიანი წითელი არმია. ლენინმა სწორად გამოიანგარიშა.

სულ მოკლე ხანში ჩვენ გვყავს უკვე სამი მილიონზე მეტი არმია.

რეგულიარული წითელი არმიისათვის საჭირო იყო აგრეთვე სამხედრო საქმეში კარგად დახელოვნებული მეთაურთა შემადგენლობა. ამ მხრივ დიდი სივიწროვე იყო. ლენინი კვლავ პირველი აყენებს საკითხს ამ მიზნით ყოფილი ოფიცრობის გამოყენების შესახებ. წითელი არმიის ახალგაზრდა ნაწილები, რომლებიც შეიქმნენ ბრძოლის პირობებში, პირველად არ იყვნენ დისციპლინიანი.

ლენინი აქაც პირველი აყენებს საკითხს წითელი არმიის რიგებში მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინის და წესრიგის დამყარების შესახებ.

„ვინც სავსებით და თავგამოდებით არ ეხმარება წითელ არმიას, არ იცავს დისციპლინას და წესრიგს მასში, ის გამცემი და მოღალატეა, ის კოლჩაკის მომხრეა, ის დაუზოგველად განადგურებულ უნდა იქნას“.

„მაგარი, მტკიცე წითელი არმიით ჩვენ დაუძლეველი ვართ. ძლიერი არმიის გარეშე—ჩვენ აუცილებელი მსხვერპლი შევიქნებით კოლჩაკის, დენიკინისა და „იუდენიჩის“—ლაპარაკობს ის თავის წერილში დისციპლინის შესახებ წითელ არმიაში, კოლჩაკზე გამარჯვების გამო.

ლენინი, როგორც არავინ, ხედავდა სამხედრო საფრთხეს, რომელიც ემუქრებოდა ოქტომბრის მონაპოვართ მსოფლიო კაპიტალის მხრიდან და ამიტომაც რკპ (ბ) მე 9 ყრილობაზე ის ამბობს:

„ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ სამხედრო დარგში ყოველგვარ შემთხვევისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ უკვე ბევრი დამარცხებები ვაგემეთ იმპერიალიზმს, ჩვენი წითელი არმია ყოველ მიზეზს გარეშე უნდა გვყავდეს საბრძოლო მზადებაში და გავაძლიეროთ მისი ბრძოლის უნარიანობა.

ლენინის ეს უკანასკნელი ანდერძი, მუდამ და ყოველთვის უნდა ახსოვდეს, როგორც წითელ არმიას, ისე საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთ და მტკიცედ, შეურყევლად უნდა ატარებდენ ცხოვრებაში.

ქ. 6—ი.



ვ. ი. ლენინი

## ლენინი.

მოკვდა ლენინი.

ელვის სისწრაფით მოედო ეს ამბავი მთელ სამყაროს.

დედამიწის ზურგზედ არ მოიძებნებოდა არც ერთი კუთხე, სადაც არ წარმოთქმულიყოს ეს ორი სიტყვა:

„მოკვდა ლენინი“.

უზომო მწუხარებამ მოიცვა მათი გულები, ვინც მარადის შრომობდნენ, ეწეოდნენ შრომის მძიმე უღელს.

მათ იგრძნეს, რომ მოკვდა ადამიანი, რომელიც იბრძოდა მათი კეთილდღეობისთვის. მოკვდა ადამიანი, რომელიც იყო მოსარჩლე ყველა ქვეყნების მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა; მოკვდა ადამიანი, რომელსაც ნუგეშით უმზერდენ ყველა ქვეყნის დამონებულნი.

უზომო სიხარულმა მოიცვა ყველა ქვეყნის მუქთა-ხორანი, მყვლეფელნი, რომელნიც სცხოვრობდენ

სხვისი ოფლით,

სხვისი შრომით.

მათ იგრძნეს, რომ მოკვდა მათი უდიდესი მტერი, მოკვდა ადამიანი, რომელიც ძირს უთხრიდა მათ კეთილდღეობას.

მთელი სამყარო გაიყო ორ ბანაკად:

ერთი ბანაკიდან ისმოდა გლოვა,

მეორე ბანაკიდან კი ხარხარი.

და ეგონათ ბნელ ძალებს, რომ დადგა ჟამი მათი დღესასწაულის, მათი ზეიმის.

ლენინი აღარ არის,

აღარ არის მათი მოსისხლე მტერი, მაგრამ

ამაო იყო მათი ზეიმი.

ლენინი მოკვდა?

არა, არ მომკვდარა!

ის სცოცხლობს თვის მოძღვრებაში,

ის სცოცხლობს მრავალ მაშვრალთა გულებში.

მისი მოძღვრება გზას უნათებს ყველას,

ვინც ებრძვის უსამართლობას, ვინც იბრძვის

კეთილ მომავლისათვის.

ლენინ!

ეს სახელი დღეს გადაიქცა ყველა ქვეყნის მშრომელთა დროშათ. ლენინ!

ეს სახელი თავზარს სცემს წითელი ფერის ყველა ორგულთ. ლენინ!

ამ სახელში ხუთი ასოა და დედამიწის ხუთ მატერიკზე მშრომელნი დაანთებენ ბრძოლის ალს,

გადაწვავენ ძველი სამყაროს

და აშენდება ახალი ქვეყანა,

რომლის თავზე ამაყად იფრიალებს წითელი დროშა,

ზედ მოქარგულ სისხლის ფერ ასოებით: „ლენინ“.

ე. ხუციშვილი.

# ლენინი და პარტიის მთლიანობა.

ერთი მთავარი ანდერძთაგანი, რომელიც დაგვიტოვა განსვენებულ ბელადმა ეს არის—პარტიის მთლიანობის მტკიცედ დაცვა.

ლენინს კარგად ჰქონდა შეგნებული ის გარემოება, რომ ურყევი მთლიანობის მტკიცე შედუღების გარეშე პარტია ვერ განახორციელებს იმ ამოცანებს, რომელიც მას დააკისრა ისტორიამ. ამიტომაც იყო, რომ ის თავგამოდებით ებრძოდა პარტიის რიგებში რღვევის შეტანის ყოველგვარ ცდას და შეუბრალებელი იყო ყველა ჯურის ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აი რას სწერდა ის პარტიის X ყრილობის რეზოლიუციაში „პარტიის მთლიანობის" შესახებ (როგორც ვიცით მეათე ყრილობაზე ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ჯგუფების ფრაქციულ გამოსვლებს).

„აუცილებლად საჭიროა, რომ ყველა შეგნებულ მუშებმა ნათლად შეიგნონ მავნებლობა და დაუშვებლობა ყოველგვარი ფრაქციულობისა, რომელსაც აუცილებლად მივყევართ მეგობრული მუშაობის შესუსტებისა და მმართველი პარტიაში, შემძვრალი მისი მტრების გაძლიერებულ ცდებისაკენ—გააღრმავონ პარტიის გაყოფა და გამოიყენონ ეს კონტრ-რევოლიუციის მიზნებისათვის"...

„ამ საკითხში პროპაგანდა უნდა მდგომარეობდეს ვრცელ ახსნა განმარტებაში ფრაქციულობის მავნებლობისადა საფრთხისა პარტიის მთლიანობისა და პროლეტარიატის მოწინავე ნაწილის ნების მთლიანობის განხორციელებისათვის, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების ძირითად პირობას წარმოადგენს".

აი რა აზრის იყო ლენინი პარტიის მთლიანობის შესახებ, რომლის მნიშვნელობა ერთიორად იზრდება მისი სიკვდილის შემდეგ.

სწორედ ლენინის შემდეგ ჩვენ პარტიას სჭირია ფოლადისებური სიმტკიცე თავისი რიგებში და შეურყეველი მთლიანობა.

პარტიამ სავსებით შეითვისა ლენინის ეს ანდერძი და კიდევაც ატარებს მას ცხოვრებაში, მიუხედავათ იმისა, რომ მან ლენინის შემდეგ გადაიტანა ორი დისკუსია: პირველი ტროცკიზმის წინააღმდეგ და მეორე ეხლა მეთოთხმეტე პარტყრილობაზე. პარტიამ სასტიკად დაგმო ყოველგვარი ოპოზიციონური გამოსვლები, ფრაქციულობის დაშვების ცდა და წესრიგისაკენ მოუწოდა ლენინიზმის გზიდან გადასულ ამხანაგებს.

პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ ხაზი გაუსვა რეზოლიუციაში ცეკას ანგარიშის შესახებ იმ გარემოებას, რომ „პარტიის ხელმძღვანელი როლი შეიძლება სავსებით უზრუნველყოფილი იქმნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაცული იქნება პარტიის ნების აბსოლუტური მთლიანობა, მისი რიგების შემჭიდროება, როცა დაცული და განმტკიცებული იქნება პარტიაში ბოლშევიკური, პროლეტარული დისციპლინა".

„ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს აწარმოოს გადაჭრილი ბრძოლა პარტიის მთლიანობის ყოველგვარი დარღვევის ცდების წინააღმდეგ, საიდანაც ისინი არ უნდა გამომდინარეობდენ და ვინც არ უნდა მეთაურობდეს მათ".

და ყოველი პარტიის წევრი, რომელიც ჭეშმარიტი ლენინელია, რომლისათვის ძვირფასია პარტიის და მშრომელი ხალხის საბოლოო გამარჯვების ინტერესები, მოვალეა მტკიცედ, ბოლშევიკურად გაატაროს ყრილობის ეს დადგენილება და მით უზრუნველყოს პარტიის მთლიანობა, რომელიც გვიანდერძა ჩვენმა უკვდავმა ბელადმა.

ლ. ჩ—ე.

# ლენინის ხსოვნას.

დიდო მოძღვარო, შრომისა შვილო,
წითელი დროშა ხელთ გეპყრა მაღლა,
ვერ შეგაშინეს ბნელმა ძალებმა,
შენ არ იცოდი დაქანცვა, დაღლა.

შენ მუდამ იყავ ჩაგრულთა ფარი,
გესმოდა მათი ძმური ძახილი
და მათთან ერთად მტრის შესახვედრად
ხელში გეჭირა ბასრი მახვილი.

იყავ მედროშე რევოლიუციის
და მის ტალღებში ნაშობი შვილი,
არ გაშინებდა მედგარს და მხნესა
არც ბრძოლის ველი და არც სიკვდილი.

შენი მიზანი მხოლოდ ის იყო,
რომ გარდაგექმნა სამყარო ბნელი
და ჩაგრულ-ტანჯულ შრომისა შვილებს
ყოლოდი როგორც ერთგული მცველი.

ამ გზითა გრძნობდი შენს ნეტარებას,
დროშათ გიყვარდა მიზნების გაშლა,
გიყვარდა მტრების აყირავება
და მათ ზრახვათა ჩაფუშვა, ჩაშლა.

შენი წყალობით ცეცხლის გრიგალმა
რუსეთში მოსპო ცარიზმის ბინა
და დღეს იქ უკვე მძლავრად გაისმის
ერთ-სულოვანი ამჟვრალთ ყიჟინა.

შენმა ასეთმა დიდმა მიზნებმა
ბევრჯერ გარგუნეს ღელვა და თრთოლა,
მაგრამ შენ მაინც არა დრკებოდი
რადგან გიყვარდა შრომა და ბრძოლა.

აი ამიტომ პატივს გცემს ყველა
ვის გულშიც ბრძოლის ცეცხლი ტრიალებს,
ჩვენ გვწამს, რომ ვერ ად ძველი ქვეყანა,
ვერ გაქრობს შენს ცეცხლის ალებს.

თუმცა დღეს გვერდში აღარა გვყევხარ
მომქმედი ბრძენი, დაუდრგომელი,
მაგრამ შენს მიზანს დიდო ლენინო
არ უღალატებს ხალხი მშრომელი.

კირილე ბანძელი.



ლენინი სიკვდილის სარეცელზე.

# როგორ „ვიჭერდი" ილიჩს.

(მოგონება)

მე ხშირად მიხდებოდა ლენინის სურათის გადაღება. ჩემი, როგორც ფოტოგრაფის შეხვედრა ლენინთან მოხდა რევოლიუციის გაცხოველებულ დღეებში.

**1917** წელი. სმოლნი. ოქტომბრის რევოლიუციის პირველი ციტადელი (სიმაგრე). ირგვლივ დუღილი. სმოლნში ერთი წუთითაც არ ნელდება ცხოვრების აცახცახებული ტემპი. მე ვეძებ შემთხვევას გადავხატო ლენინი. ეს თითქმის შეუძლებელია. ის ყოველთვის გარშემორტყმულია მეგობრებითა და მუშებით.

უცებ—მოულოდნელი ბედნიერება. წინ ვხვდები ლენინს, რომელიც სადღაც მიიჩქარის. ვაჩერებ მას და მორცხვად ვაცნობ ჩემს თხოვნას. ილიჩი ჩვეულებრივად, ოდნავ ხუჭავს თვალებს და ღიმილით მეუბნება:

— ამხანაგო, მე არ შემიძლია ეხლა გადაგაღებინოთ სურათი,—ეხლა მე წვერი არა მაქვს. აი როცა წვერი გამეზრდება, მაშინ მოდით!

ამრიგად ვერც ეხლა მოვახერხე ილიჩის გადაღება.

**1920** წელი. დიდის დავიდარაბისა და სიარულის შემდეგ მე ვღებულობ ნებართვას გადავიღო ლენინის სურათი მისსავე კაბინეტში.

შევდივარ თუ არა კარებში, ვლადიმერ ილიჩი სწყვეტს გაზეთის კითხვას და მეკითხება:

— რამდენი დრო დაგვჭირდება ამ საქმეზე?

გაიგო თუ არა საჭირო იყო 5 წუთი, ხუმრობით მითხრა: ფოტოგრაფისთვის, რასაკვირველია, ცოტაა, ჩემთვის კი—ძალიან ბევრი!—და კვლავ იწყებს გაზეთის კითხვას.

ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, მე ვიღებ რამოდენიმე სურათს, და გაცილებით უფრო მეტს, ვინემ მე ვფიქრობდი.

როცა რამოდენიმე ხნის შემდეგ მე მიუტანე ილიჩს ეს სურათები, ის მეტად გაკვირდა და მკითხა:

— როდის გადაიღეთ ეს სურათები?

მაგრამ როცა გაიგო, რომ ის მე გადავიღე მაშ ნ რამოდენიმეჯერ, „მარაგით", მითხრა:

— აჰა, მაშ თქვენ მომატყუეთ!

და გაეცინა.

**1921** წელი. სრულიად რუსეთის ცაკის სესიაზე. მე ჩემის ერთგული აპარატით ვტრიალებ მეზობელ თამბაქოს მწევეთა ოთახში. ჩემს განზრახვას ამჩნევს ამხ. ბელენსკი. ის მოდის ჩემთან და მთხოვს ნუ შევაწუხებ დღეს ილიჩს.

— ილიჩი დაიღალა, მას აურაცხელი საქმე აქვს. დღეს ნუ შეაწუხებთ მას. კარგი?

მაგრამ სურვილმა—გადმეღო ილიჩის სურათი ცაკის სესიის დროს—ყოველგვარ მოსაზრებას გადააჭარბა. მე, გულწრფელად უნდა გამოვტყდე, გადავსწყვიტე, რა გზითაც არ უნდა ყოფილიყო, ჩემი ამესრულებია. შევძვერი მეზობელ დარბაზში და სხვებთან ერთად დავიწყე სკამების დადგმა ვითომ და წესრიგისთვის... სხდომის დასრულების შემდეგ ცაკის წევრები გამოდიან დარბაზში. მე დაჟინებით მოვითხოვე დასხდენ ყველანი, რათა სურათი გადავიღო. მოდის ილიჩი, სხვებთან ერთად ისიც ემორჩილება ჩემს დაჟინებითი სურვილს და ხუმრობით ამბობს:

ოცუპის დიქტატურა..

პეტრე ოცუპი.

# ლენინიზმის შემოწმება.

**ჩვენს მტრებს იმედები გაუცრუვდათ.**

ჩვენი მტრები ფიქრობდენ, რომ ლენინის გარდაცვალების შემდეგ დაინგრევა და დაიღუპება ლენინის საქმე. მთელი ქვეყნის პროლეტარიატისა და მშრომელების ამ ორი წლის ბრძოლამ უდაოდ დაამტკიცა, რომ ლენინის შეხედულება მუშათა კლასის ბრძოლისა და ცხოვრების ძირითად საკითხებში სწორი და შეურყევია.

ყველა ამ საკითხებიდან ძირითადი და მთავარია საკითხი პროლეტარიატის დიქტატურაზე. პროლეტარიატის დიქტატურის გამოხატულებად, მის განსახიერებად შექნა სახელმწიფოს ახალი ტიპი—საბჭოთა სახელმწიფო.

რა მოუვიდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს 2 წლის ბრძოლის განმავლობაში ლენინის გარდაცვალების შემდეგ? ჩვენი მტრების იმედები, რომ საბჭოთა კავშირი დაინგრევა, დასუსტდება და დაიღუპება—არ გამართლდა. მეურნეობისა და კულტურულ დარგებში, საერთაშორისო კავშირის განმტკიცებაში, მეურნეობის სოციალისტურ ორგანოების გაძლიერებაში, კომუნისტურ პარტიის განმტკიცებაში, რომელიც მართავს ამ კავშირის ძალებს, საბჭოთა სახელმწიფო ამჟამად სდგას ისეთ მტკიცე ნიადაგზე, როგორც არასოდეს.

ჩვენს, უმთავრესად გლეხურ ქვეყანაში, პროლეტარიატის დიქტატურა გაძლიერდა მით უფრო, რომ ჩვენ თანდათან ვაძლიერებთ კავშირს გლეხობის მშრომელ მასასთან. ამ რიგად, საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესაძლებლობის შესახებ არის საკითხი არა თეორიული, არამედ პრაქტიკის საქმე, საქმე, რომელიც დაამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს 8 წლის არსებობამ მეტად ძნელსა და რთულ პირობებში. დღეს ჩვენს მტრებს არ შეუძლიათ დაუმტკიცონ თვით ჩამორჩენილ მუშასაც კი, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია შეინარჩუნოს ძალა-უფლება ხელშიაც რომ ჩაიგდოს მან ის. ჩვენში ეს რომ მარტო ლენინიზმის მოპოებაც ყოფილიყო, მაშინაც უკვდავი იქნებოდა ლენინის სახელი.

**პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი პირობა მუშებისა და მშრომელ გლეხების კავშირია**

როგორია პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი პირობა იმ ქვეყნებში, სადაც გლეხური მოსახლეობა უმეტესობას შეადგენს ან და იმ ქვეყნებში, სადაც გლეხური მოსახლეობა მნიშვნელოვანი, საგრძნობი რაოდენობაა? ეს პირობაა—მუშათა კლასის კავშირი გლეხობის მშრომელ მასასთან, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობასთან.

ეს საკითხი ერთი უძნელეს საკითხთაგანია, რომლის სისწორით შეთვისებას, სისწორით გამოყენებას პრაქტიკაზე ჯერ კიდევ ვერ მოუკიდებია სათანადოთ ფეხი საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის ყველა მომხრეთა შეგნებაში.

ეს დაგვანახა ჩვენ პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ, სადაც ჩვენ მოგვიხდა ჩვენი ხაზის გამოსწორება საბედნიეროდ ცალკე ამხანაგებს შორის, რომლებიც შეშინებულიყვნენ არა მშრომელ, „კულაკურ" და მყვლეფელ ელემენტების ზრდით სოფლად.

არ შეიძლებოდა ლენინს არ გაეთვალისწინებია ამ ელემენტების ზრდის აუცილებლობა. და აი სწორედ პროლეტარიატის კავშირი სოფლის ღარიბებთან და საშუალო შეძლების გლეხობასთან, სადაც დაცულ უნდა იქნას პროლეტარიატის ბატონობა ძირითად და მბძანებელ მწვერვალებზე—აი უტყუარი, მტკიცე თავდები პროლეტარიატის გამარჯვებისა ახალ ბურჟუაზიაზე, რომელიც აუცილებლად იბადება თავისუფალ ვაჭრობისა და თავისუფალ საქონლის ტრიალის პირობებში. აქ ორმა წელმა დაგვანახა მნიშვნელოვანი და მტკიცე წარმატებები ლენინიზმის საქმეში. ამ შეხედულებამ—მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის აუცილებლობაზე სხვა და სხვა ფორმებითა და შეგუებით ცალკე ქვეყნებში, 2 წლის განმავლობაში მოიპოვა ყველა ქვეყნის კომუნისტებში ცნობა და ამ ტაქტიკის გამოყენებამ განამტკიცა საფრანგეთის, გერმანიის, ბულგარეთის, ამერიკის, ჩინეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასის გავლენა მოსახლეობის ძირითად მასაზე.

**ჩვენი კავშირი უნდა გადავაქციოთ სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად.**

ლენინი არ ყოფილა შეოცნებე—ის იყო და დარჩება ჩვენთვის სამაგალითო ადამიანად, რომელსაც შეუძლია შეაუღლოს და შეაერთოს თავის ბუნებაში თვისება მილიონიან მასების ბელადის, ბელადის, რომელიც სჭვრეტს შორეულ მომავალს, სახავს გრანდიოზულ ბრძოლისა და უახლოესი წლების აღმშენებლობის გეგმებს და იმავ დროს ფხიზლად ადევნებს თვალყურს თავის გარშემო ყოველ წვრილმანს, ყოველ ახალ ხაზს, საქმის ვითარებას, ყოველ მის საყვარელ და მის მოყვარულ მასების ახალ მოთხოვნილებას. ამან საშუალება მისცა ლენინსა და ლენინის მთელ პარტიას დაეყენებია თავის წინაშე გრანდიოზული და იმავ დროს რეალური ამოცანები. აი ეთ ამოცანებს, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის საფუძველს, ეკუთვნის სოციალისტური მეურნეობის ახალი საფუძვლების შექმნა—შექმნა ელექტროფიკაციისა და ისეთი საკოოპერაციო ქსელის, ისეთი საკოოპერაციო ორგანოების, რომლებიც თანდათანობით გაძლიერდებიან გლეხობის სამეურნეო ცხოვრების ყველა მხარეებში, შეამჭიდროებენ განცალკევებულ გლეხთა მეურნეობებს ჩვენს გიგანტიურ სოციალისტურ აღმშენებლობასთან და გადააქცევენ ჩვენს აგრარულ—სამრეწველო ქვეყანას—სამრეწველო—აგრარულ ქვეყნად. ეს გეგმები პირველ ხანებში ბევრს ეგონა ოცნება ჩვენს ღარიბულ მდგომარეობაში, იმ საშინელ შიმშილობის პირობებში, რომელიც ჩვენ განვლეთ ახალი სამხედრო ინტერვენციის საფრთხის ქვეშ...

(გამოტოვებულია ტელეგრაფის მიერ). ჩვენ საკუთარის ძალებით ელექტროფიკაციის ძირითად გეგმას ვასრულებთ და ავასრულეთ თითქმის ყველაფერი, რაც დასახული გვქონდა ამ წლების პროგრამაში. ლენინს რომ შესძლებოდა გაცოცხლება და ენახა ჩვენი ელექტრო-სადგურების მუშაობის, რომ მას შესძლებოდა დანახვა სოფლის სარაიონო ელექტრო-სადგურების ქსელის, ის დარწმუნდებოდა, რომ იმ შესაძლებლობის ფარგლებში, როგორიც ჩვენ გვქონდა, ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი.

**ჩვენ ვაწარმოებთ შეტევას სოციალიზმის გზაზე.**

ჩვენი პარტიის მე-XIV ყრილობამ განსაკუთრებით ხაზი

# ლენინი მუშებისა და გლეხების კავშირის შესახებ.

ლენინი ამბობდა, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საომრად წავლენ არა მარტო მუშები, არამედ გლეხებიც, რადგან სოფელიც იღრჩობა კაპიტალიზმის მძიმე უღლის ქვეშ. ღარიბი და საშვალო შეძლების გლეხობა პროლეტარიატთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით დაამხობენ კაპიტალისტების ხელისუფლებას.

და შემდეგ კი? სხვა და სხვა გზით, სხვა და სხვა მიმართულებით ხომ არ წავლენ გლეხები და მუშები? ხომ არ გაწყდება კავშირი მათ შორის?

არა, უპასუხებდა ლენინი. გლეხები შემდგომაც გაჰყვებიან პროლეტარიატს, გლეხები მუშათა კლასთან ერთად თავისი საკუთარი ხელებით ააშენებენ სოციალიზმს. ყველაზე უბრალო, ადვილი და ხელმისაწდომი გზა გლეხობისათვის სოციალიზმისაკენ — კოოპერაციაა.

მაგრამ კოოპერაცია პროლეტარიატთან კავშირის გარეშე ვერ ემსახურება სოციალიზმის საქმეს. საჭიროა ამიტომ შეუდრეკლად ტარდებოდეს ქალაქის—სოფელთან დაკავშირების პოლიტიკა, შენარჩუნებული იქნას კავშირი სოციალისტური მრეწველობისა გლეხის მეურნეობასთან.

ქალაქის ამოცანაა—უზრუნველყოს სოფელი ჩითის, ნავთის, ფეხსაცმელების და წვრილმანი ნივთების საჭირო რაოდენობით. მისცეს სოფელს გუთნები, ცელები, სალეწი მანქანები, ტრაქტორები; გაიყვანოს სოფელში ელექტრონული ენერგია.

გლეხმა უნდა დაინახოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება აშენებს მრეწველობას მშრომელთა ინტერესებისათვის და არა საკუთარი მოგების მიზნით. დეე, საკუთარი ცდებით დარწმუნდეს ის, რომ საბჭოთა მრეწველობა წლიდან-წლამდე, რაც უფრო მეტი დრო გადის, უფრო კარგად ეწყობა და მუშაობს, იძლევა მეტ საქონელს, უმსუბუქებს გაყიდვის პირობებს, ფასებს და სხვა.

კავშირი უნდა ხორციელდებოდეს სხვა საშვალებებითაც. უნდა შეუმსუბუქდეს გლეხობას სახელმწიფო ბეგარა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება; ყოველგვარი დახმარება უნდა გაეწიოს საგლეხო კოოპერაციას და სხვადასხვა საგლეხო ორგანიზაციებს, საშვალებებისა და საკუთარი ძალების შესაძლებლობის თანახმად. უნდა მიეცეს გლეხს გვალვებისა და მოუსავლობის დროს ხორბალი დასათესად, შეღავათიან ფასებში.

ერთი სიტყვით, უნდა მოვიქცეთ ისე, რომ გლეხი საქმეზე ხედავდეს მუშათა კლასსა და საბჭოთა ხელისუფლებაში თავის საკუთარ ძმას. თუ ჩვენ შევძლებთ ასეთი პოლიტიკის გატარებას, ვერასოდეს ვერავინ ვერ შესძლებს—ამბობდა ლენინი— ჩვენზე გამარჯვებას.

დღეს, ლენინის გარდაცვალების ორი წლის თავზე, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ: კომუნისტური პარტია მიდის ლენინის გზით. ის მტკიცე ხელით ატარებს პროლეტარიატის სოფლის ღარიბებს და საშუალო გლეხობასთან დაკავშირების პოლიტიკას.

ვ. ს.

# ლენინი გვასწავლის-კოოპერაცია გზაა სოციალიზმისკენ.

ვლადიმერ ილიჩი ამბობდა— სოციალისტური აღმშენებლობის სიძნელენი ჩვენში იქედან გამომდინარეობენ, რომ ჩვენში მეტად ბევრია სხვა და სხვა სამეურნეო ფორმები: სოციალისტური, კაპიტალისტური და წინა კაპიტალისტური (კაპიტალიზმის წინა დროის). მეურნეობის მოძველებული ფორმები მოეპოებათ არა მარტო ნახევრად ველურ ხალხებს, არამედ რუსეთის გლეხთა მრავალ მილიონებს. მათი უმეტესობა შეჩერებულია ძველ მამაპაპეულ გუთანს, თვითონ ისინი არავის არ უკეთებენ ექსპლოატაციას და თავის სამუშაო ძალას არავის არ აძლევენ.

მეურნეობის კაპიტალისტურ ფორმებს ჩვენში წარმოადგენს კერძო ვაჭრობა, წვრილ ფაბრიკა-ქარხნების მოიჯარადრეები (მსხვილი საბჭოთა ხელისუფლების ხელშია), წვრილი ხელოსნები, შინამრეწველები და ბობოლა გლეხები. ერთი ხელის დაკვრით ამათთან გასწორება შეუძლებელია. ამიტომ ლენინი ურჩევდა, რათა საბჭოთა ხელისუფლებას ჯერჯერობით დაედო კაპიტალისტებთან მშრომელთათვის ხელსაყრელი პირობები, მიეცა საიჯაროდ ყველაფერი ის, რასაც თვითონ ვერ მოუვლიდა.

ასეთ საქმიან კავშირს კაპიტალისტებსა და საბჭოთა სახელმწიფოს შორის ლენინი უწოდებდა სახელმწიფო კაპიტალიზმს, ვინაიდან ეს ფაბრიკები და ვაჭრები აწარმოებენ საქმეს თავიანთი მოგების გულისათვის, თუმცა ერთგვარი სარგებლობა სახელმწიფოსათვისაც კი მოაქვთ.

ჩვენი სახელმწიფოს სამრეწველოების მუშები მუშაობენ საერთო ქვეყნისთვის, თავისი სახელმწიფოსთვის, მშრომელთა მთელი საზოგადოებისთვის.

მაშასადამე, სახელმწიფო მრეწველობა და სხვა სახელმწიფო მეურნეობანი უკვე სოციალისტურს წარმოადგენენ.

ვიკითხოთ რომელს აკუთვნებდა ლენინი ჩვენს კოოპერაციას: სოციალიზმს თუ სახელმწიფო კაპიტალიზმს?

1923 წელს ლენინი სწერდა, რომ საბჭოთა საზოგადოებაში ნება-ყოფლობით საფუძველზე ჩაითრიო საკოოპერაციო საქმეში მთელი მოსახლეობა—ეს ნიშნავს შექმნა სოციალიზმი. მაგრამ ლენინის აზრით სოციალისტურად შეიძლება ჩაითვალოს ის კოოპერაცია, რომელიც წარმოადგენს მსხვილ მეურნეობას, იმყოფება თვითმშრომელთა ხელში და აძლევს მათ ყოველივე აუცილებელს. ასეთი კოოპერაცია არავის არ ყვლეფს და წარმოადგენს მოწინავე მეურნეობას, რომელსაც აქვს გამქირავებელი წერტი, ტრაქტორი და აწყობს შეერთებულად გასაღებასა და მომარაგებას.

მაგრამ ასეთი ჩვენი კოოპერაცია ხდება მხოლოდ დღეს. წინად მაგალითად, 1921 წელში კოოპერაცია კიდევ არ წარმოადგენდა მშრომელთა შეგნებულ და ნებაყოფლობითი ორგანიზაციას.

ის მაშინ მეტ სამსახურს უწევდა ბოლოლა გლეხებსა და სპეკულიანტებს. ღარიბისა და საშუალო შეძლების გლეხისთვის ძნელი იყო მაშინ საკუთარი კოოპერაციის შენება სახელმწიფოს დაუხმარებლად. ამიტომაც ლენინი ამბობდა მაშინ, რომ ჩვენი კოოპერაცია უფრო სახელმწიფო კაპიტალიზმს ჰგავს, ვინემ სოციალიზმს.

მაგრამ აი, გადიან წლები, მეურნეობა ჩქარი ნაბიჯით ძლიერდება, ღარიბები და საშუალო შეძლების გლეხობა აფართოებენ სათესი მიდგნებს, ნახირი მრავლდება, სახელმწიფო ძლიერდება, მრეწველობა ვითარდება.

საბოლოოდ გამოირკვა, რომ ჩვენ სამეურნეო ფრონტზედაც ვიმარჯვებთ. ცხადია, რომ ასეთი პირობებში ღარიბებისა და საშუალო შეძლების მქონეთათვის გაცილებით ხელსაყრელია აიღონ კოოპერაცია თავიანთ ხელში. ცხადია, რომ ისინი კოოპერაციის საშვალებით აამაღლებენ თავიანთ კულტურულ დონეს და დროს განმავლობაში სამაგალითო კოოპერატორები გახდებიან; ცხადია, რომ საუკეთესო ცხოვრებისაკენ სოფლად დღეს ერთი გზაა—კოოპერაცია.

ლენინიც ხომ ამას ამბობდა: რომ ააშენო სოციალიზმი გლეხურ ქვეყანაში, ყველაზე მარტივი, ყველაზე გასაგები გზა ამისთვის—ეს არის კოოპერაცია. აქ არ არის ექსპლოატაცია, ყვლეფა, არის შეერთებული, შეთანხმებული მუშაობა და ამიტომაც აუცილებელია აქ კულტურის ამაღლება.

ავითარე მრეწველობა, აწოდე სასოფლო მეურნეობას მეტი მანქანა და მიწის გასაპოხიერებელი საშუალება, აძლიერე მუშისა და გლეხის კავშირი, წაიყვანე გლეხი კერძო მეურნეობიდან საერთო, კოლექტიურ მეურნეობისაკენ,—ყოველივე ეს საბჭოთა სახელმწიფოში გარდაიქცევა სოციალიზმად.

ყველა ამისკენ ლტოლვა— ეს ნიშნავს ლენინის ანდერძების ასრულებას კოოპერაციაზე.

ვ. ს—ი.

**ხუთშაბათს, 21 იანვარს, საღამოს 6 საათზე ალმასკომის დარბაზში მოწვეულია ტფილისის ალმასკომის პლენუმის სხდომა.**

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება საბინაო საკითხის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

ალმასკომის წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.



ლენინი სამუშაოზე.




ლენინი მიტინგზე.

გაუსვა იმას, რომ ჩვენ ამ მხრივ განვაგრძობთ სოციალისტურ მრეწველობის შეტევას, რომ ჩვენ ვიქმნებით და უნდა გარდავიქმნეთ იმ ქვეყნიდან, რომლის მსხვილი მრეწველობა დამოკიდებული იყო მუდმივ კაპიტალისტური ქვეყნების უფრო ძლიერ ტეხნიკისაგან,—ქვეყნად, რომელსაც ექნება ყველა ელემენტები სასოფლო მეურნეობის ასაგებად ამ უმაღლესი ტეხნიკის საფუძვლებზე. ეს უკვე გავლენას ახდენს გლეხურ მეურნეობაზე, რომელიც გადადის მონოპოლიაზე, უფრო ინტენსიურ კულტურაზე, მიწის მანქანებით დამუშავებაზე და სადაც თანდათან ფართოვდება ტეხნიკური კულტურები—ბამბის, სელისა და სხვა მცენარეების—სადაც თანდათან ძლიერდება სოციალისტური აღმშენებლობის გავლენა.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ეს კავშირი, დაახლოება გლეხის მეურნეობასთან, მიდის უმთავრესად კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის საშუალებით, და აქაც ამ დარგშიც, თუ რომ გვკითხავენ—წავედით თუ არა წინ, ვედივართ თუ არა შეტევაზე ულენინოთ, ჩვენ უფლება გვაქვს უპასუხოდ: დიახ, ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ მთელი ძალღონით ვამტკიცებდით და მართლაც დავამტკიცეთ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის შეტევა სოციალიზმის, კომუნიზმის გზაზე.

რასაკვირველია, თავის მოტყუება არაა საჭირო: ყველა ამ დარგებში—პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საქმეში, პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელ მასებ შორის, კავშირის გაძლიერების საქმეში, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის აშენების, კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის დაყენების საქმეში ჩვენ გვაქვს სუსტი მხარეები და ნაკლი, რომლებიც უნდა გამოვასწოროთ, რომელთა წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა; არის აგრეთვე უდიდესი დაბრკოლებები, რომლებიც შეიძლება აღიმართონ ჩვენს გზაზე.

უმთავრესი პირობა იმისთვის რომ ჩვენ ყველა ეს ნაკლი გამოვასწოროთ, იმისთვის, რომ ეს სიძნელენი დავსძლიოთ—ეს არის იმ ძლიერ ორგანიზაციების განმტკიცება, რომელთა შექმნაზედაც მუშაობდა მთელ თავის სიცოცხლეში ამხ. ლენინი. ეს არის პირველ ყოვლისა კომუნისტური პარტია და კომუნისტური ინტერნაციონალი.

განვამტკიცებთ თუ არა ჩვენ ჩვენს პარტიას? ჩვენ ვგულისხმობთ არა რიცხვობრივ ზრდას,—რიცხვობრივად პარტია გაიზარდა ლენინის შემდეგ, მან დააყენა თავის რიგებში ახალი ასეულები გლეხებისა და განსაკუთრებით მუშების. პარტია მუშაობდა ამ წლებში განსაკუთრებით იმაზე, რათა ჩაება თავის წევრთა მასა ცოცხალ პრაქტიკულ მუშაობაში, რათა აეწია ძირიდან ათასები და ასიათასები პარტიულ და უპარტიო მუშებისა და გლეხების, დაეკავშირებია ისინი საბჭოთა სახელმწიფოსთან, მის მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობასთან.

**ჩვენი პარტიის მთლიანობას ვერავინ დაარღვევს.**

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის ასეთი განმტკიცების წარმოებას ახლავს დაბრკოლებები, რომ ყოველთვის, როცა წამოიჭრებიან ახალი სიძნელენი, პარტიას შეიპყრობს ერთგვარი ციებ-ცხელება, როგორც ეს იყო დისკუსიის დროს ტროცკიზმის გარშემო ან და მე-XIV ყრილობაზე, მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენი კომუნისტური პარტია ძლიერია როგორც არასოდეს, და ვერავინ ვერ შესძლებს დაარღვიოს ეს კომუნისტური ინტერნაციონალის დასაყრდნობი და განხეთქილება მოახდინოს შიგ.

მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა, რომელსაც განიცდიან კომუნისტური პარტიები ყველა ქვეყნებში, მიუხედავად დევნისა, თეთრი ტერორისა და გაათრებული ბრძოლისა მათ წინააღმდეგ ბურჟუაზიულ, და სოციალისტურ დროშით შენიღბულ წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების მხრივ, კომუნისტური ინტერნაციონალი ძლიერდება და იზრდება მთელს მსოფლიოში, ძლიერდება და იზრდება მისი გავლენა მასებზე.

ის, რასაც ითვალისწინებდა ლენინი—გრანდიოზული ბრძოლის გაშლა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ხალხთა შორის—ამ ჟამად წარმოადგენს ფაქტს, რომელიც ძირბუდიანად არყევს კაპიტალისტურ სამეფოს.

ჩვენ კვლავ ვიმუშავებთ იმ მიმართულებით, რათა განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ ჩვენი პარტია, ჩვენი კომკავშირი, ჩვენი პიონერთა ორგანიზაცია, მუშა და გლეხ ქალთა დელეგატების ყრილობები. ჩვენ კვლავ ვიმუშავებთ იმაზე, რათა გავაძლიეროთ ის ორგანიზაციები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან გლეხთა თვითმოქმედების განვითარებას—გავაძლიეროთ სხვადასხვა სახით კოოპერაციები, ურთიერთ დამხმარე საზოგადოებები და სხვა. ჩვენ კვლავ ვიმუშავებთ, რათა ავამაღლოთ კლასობრივი თვითშეგნება პროლეტართა და ნახევრად პროლეტართა ახალი ფენების, რომლებიც ავსებენ ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის კადრებს.

ჩვენ კვლავ ვიმუშავებთ მუშათა და გლეხთა ფართე მასების საერთო კულტურისა და ცხოვრების მატერიალურ დონის ამაღლების საქმეში.

ჩვენ ვიმუშავებთ დაუღალავად, რათა მოვამზადოთ კომუნიზმის მშენებელთა ახალი თაობა, რომელიც შესძლებს ბოლომდის მიიყვანოს ჩვენი საქმე. ჩვენ კვლავ ვიმუშავებთ იმ მხრივ, რათა უზრუნველვყოთ გამარჯვება ლენინის საქმის—კომუნიზმის.

ე. იაროსლავსკი.

# ახალი რადიო ამბები

## მსოფლიო სამეურნეო მდგომარეობის მომავალი.

(ამხ. ტროცკის სიტყვა).

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პლენუმზე, რამოდენიმე ორატორების შემდეგ ილაპარაკა ამხ. ტროცკიმ. თავის ვრცელ—სიტყვაში ორატორმა დაახასიათა ევროპის ცალკე ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობა.

გერმანიის უკიდურესად გაჭიუვალი მდგომარეობა ევროპის გართულებული მდგომარეობის აშკარა საბუთია.

ძლიერდება მხოლოდ ამერიკა, მაგრამ თუ რომ ამ ნაბიჯით წავიდა, ის მალე მოახჩობს ევროპას და ეს მოასწავებს ამერიკის დაღუპვას. თუ რომ ამერიკის მრეწველობა შეფერხდა, მაშინ ერთად-ერთი გამოსავალი იქნება ომი და რევოლიუციონური მღელვარება ქვეყანაში.

—ამრიგად—დაასკვნის მომხსენებელი—ევროპის დაცემა აუცილებელია.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი ეკონომიკა ჯერ კიდევ სუსტ გავლენას ახდენს ევროპის მეურნეობაზე, მაგრამ სოციალისტურ ევროპისთვის სსრკ—ს გადამჭრელი მნიშვნელობა ექნებაო.

# ბრძოლა სირიაში

## დრუზები განაგრძობენ ბრძოლას.

### დე-ჟუვენელი ამაოდ მოუწოდებს მორჩილებისაკენ.

აჯანყებულ დრუზებმა გადასწყვიტეს იბრძოლონ უკანასკნელ შესაძლებლობამდი. მათ მხარეზე გადავიდა საუკეთესო სირიელი ოფიცრები, რომლებიც ევროპის არმიებში მსახურობდენ.

საფრანგეთის უზენაეს კომისარმა სირიაში დე-ჟუვენელმა კვლავ მოუწოდა აჯანყებულებს დამორჩილებისაკენ, მაგრამ ამ მოწოდებას პასუხი არავინ გასცა.

აჯანყებულები განაგრძობენ ქ ლაქ დამასკზე თავდასხმას.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## მეორე ლეგიონის სამნეო ასეული.

7 იანვარს მეორე ლ გიონის სამნეო ასეულში, პირველ რუსულ ლეგიონის სამნეო ასეულის და მეორე ლეგიონის სამნეო ასეულთან ერთად გაიხსნა კომუჯრედების გაერთიანებული ღია კრება, დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1905 წ. 9 იანვრის სისხლიანი კვირის შესახებ, 2) რედ-კოლეგიის თავმჯდომარის მოხსენება კედლის გაზეთის მნიშვნელობაზე, და რედკოლეგიის წევრების ხელახალი არჩევნები, 3) პოლიტხელების და ასისთავების მოხსენება თავიანთ მუშაობაზე დეკემბრის თვეში 4) გამოყოფა და მიმაგრება უცოდინართა ჯგუფზე, მე-14-ტე პარტყრილობის შედეგების შესასწავლად და 5) 1-ლ რუსული ლეგიონის სამნეო ასეულის იანვრის თვის გეგმის დამტკიცება. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. გულორდავა, რომელიც ნათლად აღნიშნავს 1905 წლის ამბებს და გაპონის ავანტიურას.

ამის შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ოდიშარიამ, რომელმაც გააშუქა კედლის გაზეთის მნიშვნელობა ასეულებში. მოხსენების შემდეგ მოხდა არჩევნები სარედაქციო კოლეგიისა. მესამე კითხვაზე გაშუქებულ იქნა საერთოთ თავთავიან, ასეულების მდგომარეობა, რომელმაც დაგვანახა მათი წინ სვლა პოლიტიკური და სამხედრო დარგში.

გამოყოფილი იქნა მეორე ლეგიონის სამნეო ასეულში 2 კაცი და მიმაგრებული სხვა ჯგუფთან, სადაც გაერკვევიან მე-14-ტე პარტყრილობის დადგენილებებში.

პირველი რუს. ლეგიონისათვის დამტკიცებულ იქმნა სახელმძღვანელო გეგმა იანვრის თვისა. ასეულის კომუჯრედის მუშაობის შესახებ მომხსენებები იყო როგორც ქართულად ისე რუსულადაც, ოქმიც დაიწერა ორთავე ენებზე. ამ შეერთებულმა კრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე ამხანაგებზე.

ეს კრება რუსულ ნაწილთან ერთად არის პირველია ამიტომ უსურვებ მეორე ლეგიონის მე-11-ტე კომუჯრედს, და პირველ რუსულ ლეგიონის სამნეო ასეულის კომუჯრედს, უფრო მეტი კავშირი დაეჭიროს მათ ერთმანეთთან, და ეს ყოფილიყოს მაგალითი სხვა ასეულებისათვის.

გაუმარჯოს მათ და ჩვენ მუშაობას და მეტ კავშირს ერთმანეთთან.

ო—რია.

# ვინ იქნება შემდეგი?

ამხ. ეფრემიძის გამოწვევის თანახმად, ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ გორის მაზრის სოფ. რვენეთის სამკითხველოსათვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გარსევანიშვილს (4-ხე ლეგიონიდან). ამხ. ვ. ღვინიაშვილს (2-რე ლეგ). ნესტორ ლეკვეიშვილს, ფუხაევს (სამხედ. პოლიტსკოლა). ხაჯიშვილს (ცხენ. ლეგ.) მიხ. კილოსანიას (4-ხე ლეგ.) მიხ. ნოზაძეს 1-ლ არტლეგ.) მიხ. ახალკაცს(6-სე ლეგ.) და ს. ეპიტაშვილს და კაპანაძეს (ცხენ. ლეგ.)

გ. ი. საათაშვილი.

ვიწერთ გაზ. „წითელ არმიელს“ ორ ცალს ექვსი თვით ქარელის ქოხსამკითხველოსათვის და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: მე 4-ხე ლეგ. პირველ ათასეულის მეთაურს ამხ. ბოსიკაშვილს და პოლიტხელს ადამიას. ამავე ათასეულის 2-რე ასეულის პოლიტხელს და მეთაურს ამხ. ამხ. ლვდელაძეს და ჩიჩიევს. 2-რე ათასეულის მეთაურს ა. გაბუნიას ა. კაკაბაძეს. 4-ხე ლეგ. 2-რე ტყვიამფრქვევ ასეულის მეთაურს ჩანთარიას და პოლიტხელ გარსევანიშვილს. ამავე ათასეულის 5 თე ას. მეთაურს ძიძიგურს და პოლიტხელ გუბელაძეს. ამავე ლეგიონიდან 3-მე ათასეულის მეთაურს ჭავაძეს და პოლიტხელ გ. ქალიაშვილს და 7-დე ასულის მეთაურს თუთბერიძეს.

3 მე ტყვ. მფრ. ას. მეთაურს აკობოვს, ს. იაშვილს და ბალიაშვილს. კაჭარავას და პოლიტხელ კალომკაროვს. ამავე ლეგიონიდან ვიწვევთ აგრეთვე შემდეგ მეთაურებს: ა. კუსრაშვილს, მენადარიშვილს, ტალახაძეს, თ. ვარდაშოვს, შ. კუარაშვილს, ნარსიას, სამადბეგოვს, პატარქალიშვილს, პ. პატარავას, ფირცხალავას, პ. საკანდელიძეს, ლ. ჭელიძეს, გ. დარჩიას, დათაშვილს, თავაძეს, ა. მაღალთაძეს, კ. არნანიაშვილს, მაქაძეს, მითაიშვილს, და მათიაშვილს.

4-ხე ლეგ. ოც. მეთაური შველიძე და პოლიტხელი. გ. ქ ლიაშვილი.

# უცხოეთის არმიებში

## ჩინელი ორი ჯარის კაცი.

დაქირავებული მებრძოლი. როდესაც გალატაკებულ ჩინელს შამოელევა თავისი „პამპუშკა“ (ბრინჯის პური) ის იძულებულია წავიდეს. მას ორი გზა ორი შესაძლებლობა აქვს. ან გაიჭრას ტყეში, გახდეს „ხუნხუზი“ (ყაჩაღი) და ან რომელიმე პროვინციის მმართველ გენერლის დაქირავებულ ჯარში ჩაეწეროს. ამის საფასურად ის ღებულობს: პურს, ტანსაცმელს, და უმნიშვნელო გასამრჯელოს. აქაც ყაჩაღია ის, მაგრამ ძარცვავს და არბევს თავისი მბრძანებელის—გენერლისათვის—სხვის სასარგებლოდ. ასეთი ჯარისკაცის მხეცობა ათეული წლებია რაც თავზე აწევს ჩინელ მშვიდობიან მოსახლეობას. ეს ჯარის კაცები შეუბრალებლად სთქლავდენ და სთელავენ დღესაც თავისი ქვეყნის ნაციონალურ უფლებებს, თავისი ხალხის ადამიანურ უფლებებს. ასეთი ჯარისკაცებისაგან შესდგება ჩინელი თითეული გენერლის პროვინციების მმართველების დაქირავებული არმიები.

II

მაგრამ არის ჩინეთში მეორე ჯარის კაცი. ის გაჩნდა სულ ახლო, მაგრამ მასში უფრო და უფრო განუსაზღვრელად იკრებს თავს ხალხის უკმაყოფილება და ხმა. ეს ჯარის კაცი პირველად ყოვლისა არ ძარცვავს, ხოლო ჩინელი ხალხისათვის—რომელსაც ყველა ყვლეფდა და ძარცვავდა ეს რაღაც არაჩვეულებრივი მოვლენაა. ეს ჯარის კაცი—ხალხის მეგობარია, იბრძვის ჩინეთის განთავისუფლებისათვის უცხოეთის მონობისაგან. ჩინელი ხალხისთვის კი ეს ერთად ერთი ხსნაა. ამისთვის არის, რომ ეს ჯარის კაცი ძლიერ უყვარს ჩინეთის ხალხს. ახალი ჯარის კაცისაგან არის შევსებული ახალი—ჩინეთში აქამდე გაუგონარ ახალი არმიების რიგები: გენერალ ფინ-იუ-სიანის და სხვათა და მათთან ერთად სახალხო რევოლიუციონური არმიები, რომლებსაც ქმნის ამ ჟამად გომინდანის პარტია (ნაციონალურ-რევოლიუციონური პარტია).

უცხოელები აშინებენ ჩინეთის ხალხს იმით, თითქოს ამ არმიებში თავმოყრილი იყოს კომუნისტი ჯარის კაცები—(ეს არ არის მართალი) და ხალხი კი უპასუხებს: თუ ისინი არ ძარცვავენ და იბრძვიან ხალხის ინტერესებისათვის, მაშინ კომუნისტები ხალხის მეგობარი ყოფილაო.

ამ არმიების ჯარის კაცებთან აწარმოებენ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას. მას ასწავლიან და ზრდიან. ის უკვე ამარცხებს ჩინელ გენერლების დაქირავებულ ჯარებს. ცხადია, რომ ეს ახალი ჯარის კაცი დაამარცხებს—ძველს, რადგან ახალს მხარს უჭერს ჩინეთის მშრომელი ხალხი, რადგან ახალი ახდენს რევოლიუციას, ხოლო რევოლიუციამ უნდა გაიმარჯვოს!

# პასუხი შეკითხვებზე.

კურსანტ გ. ფ—ის. თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 1023—25 წ. დღის დასასაფლავებლად დახარჯული ფული გერგებათ, თუ სამხედრო ბეგარა მოხდილი გაქვთ.

ქათამაძეს. ათის თავებს მიეცემათ თუ არა წვევამდელებთან მეცადინეობისთვის ჯილდო ჯერ-ჯერობით ამის შესახებ ცნობა არ არის მიღებული. ისე კი ეს საკითხი ირჩევა.

კურსანტს სოლჯახო ულუფას არ მიიღებთ.

ქერქაძეს. სოლჯახო ულუფა მოსპობილია.

ი. ვ—ას. თუ გამოცდებს არ ჩააბარებთ საშუალო მეთაურზე, ისე უნდა იმსახუროთ ორი წელიწადი ქვეითა ჯარში.

ლალიძეს. წ. ა. არ შეუძლია კავშირის წევრი იყოს. სამსახურის გათავების შემდეგ შეგიძლიათ აღადგინოთ თქვენი უფლება.

მალაზონიას. მიმართეთ ტერსამართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას საკითხის გამოსარკვევად.

აზიკუროვს. მიმართეთ „მუშა“-ს რედაქციას მიზეზის გასაგებათ.

ქლივაძეს. ადგილი არ გენახებათ. სამსახურის გათავების შემდეგ თუ თქვენი ადგილი თავისუფალი იქნა მოგეცემათ, თუ არა სხვა უნდა მოგცენ პირველ რიგში, როგორც წ. არმიელს.

მჟავანაძეს. თუ როდის დაითხოვენ საშუალო მეთაურებზე გამოცდებ ჩაბარებულებს, ამის შესახებ იქნება სათანადო განკარგულება.

მასწავლებელ ტ—ლს. სალიკვიდაციო გერგებათ ორი კვირის. მიმართეთ განათლების განყოფილებას.

გოგსაძეს. კანონით დადებულ შეთანხმების დარღვევის უფლება არავის აქვს. მიმართეთ ჯერ ადგილობრივ აღმასკომს, შემდეგ სახალხო სასამართლოს.

სარჯველაძეს. მიმართეთ თქვენს უფროსს საკითხის გამოსარკვევად.

ხონელიძეს. თქვენი შეკითხვა ბუნდოვანია. გვაცნობეთ გარკვეულად.

ვ. ს—იას. მიმართეთ ადგილობრივ სახალხო განათლების განყოფილებას.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ლეგიონის 4 ხე ასეულის უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ ამხ. ბორის მალირკინს (უპარტიო წითელ არმიელი. თხოულობს პარტ-კანდიდატათ დამტკიცებას) და პარტიის კანდიდატ გიორგი ლითანიშვილს (თხოულობს პარტიის წევრად დამტკიცებას).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ლეგიონის 4 ხე ასეულის კომუჯრედში.

უჯრედის მდივანი ვაშაკიძე.


## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


1926 წ. 22 იანვარს ქ. თბილისში მოწვეულია მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პირველი

პარტკონფერენცია.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხებ:

1. 14 პარტყრილობის შედეგები,
2. არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება,
3. დივიზიის პოლიტგანის მოხსენება,
4. დივიზიის პარტკომისიის მოხსენება,
5. პარტიულ აღმშენებლობის საკითხები,
6. თანამოხსენება კომკავშირის მუშაობის შესახებ,
7. საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა,
8. სამხედრო აღმშენებლობა,
9. არჩევნები.

პარტკონფერენცია გაიხსნება დივიზიის ცენტრალური კლუბის შენობაში.

მეორე ქართულ მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილება.

ნ. დ. ს. ც. სამხედროსტამბა კეცხოველის ქ № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.